

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE

№ 15125

"16" ნოემბერი 2016 წ.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო წარმოგიდგენთ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, მთავრი მეცნიერი თანამშრომლის როინ მაღაყმაძის კანდიდატურას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) სტიპენდიანტების ასარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. თან ერთვის სამეცნიერო საბჭოს ოქმის (№6) ამონაწერი.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე,
ემერიტუსი პროფესორი



ბ.დიასამიძე

ოქმი № 6

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი ბიჭიკო დიასამიძე.

სამეცნიერო საბჭოს წევრები: ნოდარ კახიძე, შუშანა ფუტყარაძე, ოთარ თურმანიძე, ელზა ფუტყარაძე, უჩა ოქროპირიძე, შოთა ზოიძე, ნანი გუგუნიავა, ჯემალ ვარშალომიძე

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ ბიჭიკო დიასამიძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

დღის წესრიგი:

2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გამოცხადებულ სტიპენდიანტების ასარჩევ კონკურსში (საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულებით. ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) მონაწილეობის მისაღებად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორის, მთავრი მეცნიერი თანამშრომლის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის როინ მაღაყმადისათვის რეკომენდაციის მიცემის შესახებ.
(მომხსენებელი ნ.კახიძე)

მოისმინეს: ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ნოდარ კახიძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი, მთავრი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი როინ მაღაყმაძე წარდგენილი იქნას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტიპენდიანტთა კონკურსზე (საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულებით. ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია).

მომხსენებელმა სხდომის მონაწილეებს გააცნო ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორის, მთავრი მეცნიერი თანამშრომლის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის როინ მაღაყმადის სამეცნიერო-პედაგოგიური, საორგანიზაციო და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ და აღნიშნა, რომ როინ მაღაყმაძე გამორჩეული ეთნოლოგი მკვლევარი, სამეცნიერო საქმიანობის ღირსეული ორგანიზატორი და ხელმძღვანელია. იგი სტუდენტობის დროიდანვე დაინტერესდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოკულტურის საკითხებით, ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო მეზობელი თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების ტრადიციული ყოფისა და კულტურის შესწავლა და 2003 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო

დისერტაცია თემაზე: „ლიგანის ხეობა (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა)“. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროს წარმოადგენს აჭარის მუნიციპალიტეტებისა და თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში მოქცეული ქართული რეგიონების ისტორიულ-ეთნოლოგიური შესწავლა. გამოქვეყნებული აქვს 30 ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის, ერთი მონოგრაფია - „ლიგანის ხეობა“. საინტერესოა მისი ნაშრომები: „ქართული კულტურის ძეგლები თურქეთის შავიზღვისპირეთში“, „მაჭახლის ხეობის დედაეკლესია“, „შუამთობის ტრადიციები ლიგანის ხეობაში“, „ნავმშენებლობა და ნაოსნობა ლიგანის ხეობაში“, „ხალხური დღესასწაულები ლიგანის ხეობაში“ და სხვა.

გარდა სამეცნიერო საქმიანობისა, როინ მალაყმაძე ეწევა ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ საქმიანობას. 2006 წლიდან იგი ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორია. აქტიურად მონაწილეობს და ხელმძღვანელობს სამეცნიერო ნაშრომების შექმნასა და გამოცემას. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის შეიქმნა სახელმძღვანელო „აჭარა. ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“. მისი ხელმძღვანელობით გამოდის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ყოველწლიური „შრომები“, დარგობრივი კრებულები: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები“, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები“. ამავე დროს, იგი არის ინსტიტუტის მიერ წარმოებული საველე კვლევების ორგანიზატორი. 2011-2016 წლებში ხელმძღვანელობდა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის კომპლექსურ ექსპედიციას აჭარის მუნიციპალიტეტებში, 2012 წელს - კლარჯეთში (შავშეთ-იმერხევი), 2013 წელს - ტაოში, 2014 წელს - მურღულის ხეობაში, 2015 წელს - ტაო-კლარჯეთში.

მისი თაოსნობით განხორციელდა ბოლო ათწლეულებში ინსტიტუტის საველე ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მასალების დამუშავება და გამოქვეყნება („აჭარული საუნჯე“, I, 2014 წ., „აჭარული საუნჯე“, II, 2016 წ., „გამონათლევი“, I, 2015 წ.).

ტრადიციად იქცა მისი ხელმძღვანელობით ყოველწლიურად ორი საერთაშორისო თემატური კონფერენციის - „ჩვენი სულიერების ბალავარი“ და „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“ - ჩატარება და კონფერენციის მასალების კრებულების გამოცემა. 2016 წელს გამოიცა „ჩვენი სულიერების ბალავარის“ მერვე და „ბათუმი-წარსული და თანამედროვეობის“ მეშვიდე სამეცნიერო კრებულები.

სამეცნიერო საქმიანობას როინ მალაყმაძე კარგად უთავსებს სტუდენტ-ახალგაზრდობასთან სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობას. იგი ამ ეტაპზე არის საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი და კითხულობს ლექციებს საქართველოს ისტორიაში. ამავდროულად არის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

როინ მალაყმაძე არის არაერთი საგრანტო პროექტის მენეჯერი. იგი იყო მსოფლიო ბანკისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის - „მეფუტკრეობის განვითარება მაჭახლის ხეობაში“ - ხელმძღვანელი, ხოლო 2013 წლიდან მისი ხელმძღვანელობით ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფი ამუშავებს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო საგრანტო პროექტს „სტამბოლის ქართული სავანის ეპისტოლარული და მემუარული მემკვიდრეობა“.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როინ მალაყმაძის საერთაშორისო კონტაქტები. მას ჰქონდა სტამბოლის ქართული სავანის მეურვის, აწ გარდაცვლილი სიმონ ზაზაძის

პირადი ნდობა, ამიტომაც იგი 2013-2016 წლებში პროფესორ შუშანა ფუტკარაძესთან ერთად მუშაობდა ქალაქ სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა ეკლესიისა და მონასტრის (სავანის) არქივსა და წიგნსაცავში. გამოავლინა მრავალი უნიკალური საარქივო მასალა.

ფართო სამეცნიერო ურთიერთობები აქვს თურქეთის სამეცნიერო და საგანმანათლებლო წრეებთან. მონაწილეობდა სტამბოლში ქართული კულტურის ცენტრის მიერ ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაში: „ენის და კულტურის საკითხები ქართულ-თურქულ ურთიერთობაში“, სადაც წაიკითხა მოხსენება „თურქეთის საზღვრისპირა ქართული რეგიონები (ზემო მაჭახელი, ზემო მარადიდი, შავშეთ-იმერხევი)“. 2015 წელს ართვინში ჭოროხის უნივერსიტეტის რექტორატის მიწვევით წაიკითხა საჯარო ლექცია თურქულ ენაზე „ლიგანის ხეობის წარსული და თანამედროვეობა“. 1997-1999 წლებში იყო თურქეთში გამომავალი ჟურნალის „ჩვენებურების“ წარმომადგენელი საქართველოში. აღსანიშნავია მისი პირადი კონტაქტები თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ქართველებთან. მისი უშუალო მონაწილეობით მიღებული იქნა და ჩაიწერა ფართო საზოგადოებისათვის მანამდე უცნობი ქართული მრავალხმიანი სიმღერების უნიკალური ნიმუშები: „მაცრული“, „ვოდელა“, „ჰელესა“ და სხვა. რომლის საფუძველზეც შეიქმნა უხუცესთა ანსამბლი „მაჭახელა“, რომლის მიმართ დაინტერესება დღესაც იმდენად დიდია, რომ ხანდაზმულათა ანსამბლი „მაჭახელა“ იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შევიდა.

ვფიქრობთ, რომ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი როინ მაღაყმაძე არის წარმატებული მეცნიერი, მაღალი დონის ლექტორი, კარგი მენეჯერი, უნარიანი ორგანიზატორი და კოლეგიალური ხელმძღვანელი. ამიტომ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მიიჩნევს მას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტიპენდიანტობის ღირსეულ კანდიდატად (საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულებით. ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია).



აზრი გამოთქვას: შუშანა ფუტკარაძემ, ოთარ თურმანიძემ. მათ დადებითად შეაფასეს წარმოდგენილი კონკურსანტის მოღვაწეობა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9; წინააღმდეგი-0

დაადგინეს: ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორს, მთავრი მეცნიერი თანამშრომელს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს როინ მაღაყმაძეს მიეცეს რეკომენდაცია მონაწილეობა მიიღოს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გამოცხადებულ სტიპენდიატების ასარჩევ კონკურსში.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე

სამეცნიერო საბჭოს მდივანი

 ბ. დიასამიძე
 ე. ფუტკარაძე

ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომის 2016 წლის 16 ნოემბრის ოქმი №6 ხელმოწერილია სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის - ბიჭიკო დიასამიძის და სამეცნიერო საბჭოს მდივნის - ელზა ფუტყარაძის მიერ

კანცელარიის მთავარი სპეციალისტი



Handwritten signature in blue ink.

მზია შარაძე

22.11.2016წ.

განმარტებულია

Handwritten signature in blue ink.

განმარტებულია

განმარტებულია

როინ მალაყმადის ავტობიოგრაფია

მე, როინ ზურაბის ძე მალაყმადე, დავიბადე 1974 წლის 10 ივლისს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელვაჩაურის რაიონის, სოფელ ქვედა ჩხუტუნეთში. ამჟამად ვცხოვრობ ქალაქ ბათუმში (ლერმონტოვის ქუჩა 107). ვარ საქართველოს მოქალაქე, მყავს დედა, მეუღლე და ორი შვილი.

1991 წელს წარჩინებით დავამთავრე ხელვაჩაურის რაიონის ქვედა ჩხუტუნეთის საშუალო სკოლა და ჩავირიცხე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სწავლის პერიოდში ვმონაწილეობდი სტუდენტთა კონფერენციებსა და ექსპედიციებში. 1996 წელს დავასრულე უნივერსიტეტის სრული კურსი და მომენიჭა ისტორიის მასწავლებლის კვალიფიკაცია.

1997-2000 წლებში ვსწავლობდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. ვიყავი საქართველოს ისტორიის კათედრის ასპირანტი ეთნოგრაფია, ეთნოლოგია, ანთროპოლოგიის მიმართულებით. 2003 წლის 10 იანვარს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ლიგანის ხეობა (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა)“ (ხელმძღვანელი ისტ.მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ნ.კახიძე) და მომენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

1991 წელს ვმუშაობდი ჩხუტუნეთის საშუალო სკოლაში მასობრივი მუშაობის ორგანიზატორად. იმავე წელს დავიწყე და 2004 წლამდე ვმუშაობდი ამავე სკოლის ისტორიის მასწავლებლად. პარალელურად ვკითხულობდი ლექციებს საქართველოს ისტორიაში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როგორც ამ უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის მიწვეული სპეციალისტი.

2003 წლიდან ვმუშაობ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ბათუმის აბუსერისძე ტბელის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ეთნოლოგიის განყოფილების უმცროს, შემდეგ კი უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

2006 წელს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, დავინიშნე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორად. ამავე წელს, ამირჩიეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ, სადაც ვმუშაობდი 2010 წლამდე. 2010-2014 წლებში მიწვეული ვიყავი საქართველოს უნივერსიტეტის ბათუმის სკოლაში ასოცირებულ პროფესორად, სადაც ვკითხულობდი ლექციებს საქართველოსა და მსოფლიო ისტორიაში (ზოგადი კურსი). 2011 წლიდან დღემდე ვარ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი და ქართველოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი. ჩემს მიერ მომზადდა ხიჭაურის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა და ვარ მისი ხელმძღვანელი.

2011-2013 წლებში ვიყავი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის დირექტორის მოადგილე. 2013-2016 წლებში კი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი. 2013 წლიდან დღემდე ვმუშაობ ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორად და ამავე ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამშრომლად.

1996 წელს ვმონაწილეობდი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ საველე-სამეცნიერო ექსპედიციაში ხევსურეთში, 1997 წელს-თუშეთში, კახეთში, 1998 წელს კი, სამცხე-ჯავახეთსა და თურქეთში (ყარსი, ერზურუმი).

1996-2001 წლებში სისტემატიურად ვახორციელებდი ინდივიდუალურ საველე სამეცნიერო საქმიანობას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში (მირვეთი, ქვემო მარადიდი, კირნათი, გვარა და სხვა), ასევე თურქეთში, ისტორიულ ტაო-კლარჯეთსა და ლიგანის ხეობაში (ართვინის ვილაიეთი). ექსპედიციებში შეკრებილი მასალების საფუძველზე, 2008 წელს გამოვეცი მონოგრაფია-„ლიგანის ხეობა (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა)“ (გამომცემლობა „არტანუჯი“). ველზე მუშაობის პერიოდში ვახდენდი ფოტო და ვიდეო ფიქსაციას, რითაც შევქმენი უნიკალური აუდიო მასალების არქივი.

1997 წელს საშუალება მომეცა თურქეთში მცხოვრები ჩემი ნათესავების დახმარებით პირველად ჩავსულიყავი ზემო მაჭახლის ქართულ სოფლებში, სადაც ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთად ჩავიწერე ქართული მრავალხმიანი ხალხური მუსიკალური კულტურის უნიკალური ნიმუშები: „მაყრული“, „ვოდელა“, „ფადიკო“, „ჰელესა“ და სხვა. აღნიშნული ქართული მრავალხმიანი ხალხური სიმღერები მანამდე უცნობი იყო ფართო საზოგადოებისათვის. სწორედ, ეს ფაქტი დაედო საფუძველად იქაურ უზუცესთა ანსამბლ „მაჭახელას“ ჩამოყალიბებას, რომლის მიმართაც დაინტერესება დღესაც დიდია.

2010 წელს ვხელმძღვანელობდი ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ საველე სამეცნიერო კომპლექსურ ექსპედიციას თურქეთში (ზემო მაჭახელი), 2011 წელს კი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერთა კომპლექსურ ექსპედიციას ზემო აჭარაში (მარეთის ხეობა), 2012 წელს-კლარჯეთში (შავშეთ-იმერხევი), 2013 წელს-ტაოში, 2014 წელს- მურღულის ხეობაში, 2015 წელს ტაო-კლარჯეთში.

ვსარგებლობდი სტამბოლის ქართული სავანის მეურვის აწ გარდაცვლილ სიმონ ზაზაძის პირადი ნდობით, რაც მამლევდა საშუალებას მეცნიერთა ერთი ჯგუფთან ერთად, სისტემატიურად მემუშავა 2013-2016 წლებში ქალაქ სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა ეკლესიისა სავანის არქივსა და წიგნსაცავში. ჩვენი ხელმძღვანელობით დაიწყო სავანის ბიბლიოთეკისა და არქივის დიგიტალიზაცია და კატალოგიზაცია.

2015 წლის ზაფხულში ჩემი ინიციატივითა და ორგანიზებით განხორციელდა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის ხიჭაურის უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელთა ექსპედიცია თურქეთში ზემო მაჭახლის სოფლებში (ზედვაკე, ხერთვისი, მინდიეთი, აკრია, ქვაბითავი, ეფრათი).

2003-2005 წ. ვიყავი მსოფლიო ბანკისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის-„მეფუტკრეობის განვითარება მაჭახლის ხეობაში“ ხელმძღვანელი. 2009-2010 წ. კი, ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის-„საქართველოს მუსლიმური თემი თანამედროვეობის კონტექსტში“ (ისტორიული, ფოლკლორულ-

ეთნოგრაფიული, სოციოფსიქოლოგიური, კულტუროლოგიური და სტატისტიკური ანალიზი) -კონსულტანტი.

2013 წლიდან დღემდე, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფთან ერთად, ვარ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საგრანტო პროექტის- „სტამბოლის ქართული სავანის ეპისტოლური და მემუარული მემკვიდრეობა“ მონაწილე და მენეჯერი.

2011 წელს ჩემი ინიციატივით, მეცნიერთა ჯგუფმა დაიწყო ტურიზმის ფაკულტეტისა და ამ საკითხით დაინტერესებულ პირთათვის სახელმძღვანელოზე „აჭარა. ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“-მუშაობა. 2016 წელს სახელმძღვანელო ცალკე წიგნად დაიბეჭდა.

ჩემი სამეცნიერო ინტერესების სფეროს წარმოადგენს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის, ეთნოლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიის საკითხები. ამ მიმართულებით გამოქვეყნებული მაქვს საქართველოსა და უცხოეთის (თურქეთი) ჟურნალებში 30-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, ალბომი, ბროშურა, ბუკლეტი, ერთი მონოგრაფია. ვარ ეთნოგრაფიულ-დოკუმენტური ფილმის- „ლიგანის ხეობის“ ავტორი და თედო სახოკიას დარგობრივი პრემიის ლაურეატი.

მონაწილეობა მივიღე 30-მდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და სემინარებში. 2000 წელს, ჩემი, როგორც ინსტიტუტის დირექტორის გადაწყვეტილებით ბათუმში დაიწყო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა“ ჩატარება. უკვე მეშვიდედ ვხელმძღვანელობ ამ კონფერენციას. აქტიურად ვთანამშრომლობ საერთაშორისო კონფერენციის „ტაო-კლარჯეთის“ საორგანიზაციო ჯგუფთან. 2010 წელს ვიყავი ამ კონფერენციის ეთნოლოგიის სექციის ხელმძღვანელი.

კარგი ურთიერთობა მაკავშირებს თურქეთის ქართულ სათვისტომოებთან. 1997-1999 წლებში ვიყავი თურქეთში გამომავალ ჟურნალ „ჩვენებურის“ წარმომადგენელი საქართველოში. 2013 წელს ვმონაწილეობდი სტამბოლში ქართული კულტურის ცენტრის მიერ ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე „ენის და კულტურის საკითხები თურქულ-ქართულ ურთიერთობაში“(თურქულ ენაზე), სადაც დიდი დაინტერესება გამოიწვია ჩემმა მოხსენებამ თურქეთის საზღვრისპირა რეგიონების (ზემო მაჭახელი, ზემო მარადიდი, შავშეთი, იმერხევი) შესახებ.

2015 წელს, ართვინში, ჭოროხის უნივერსიტეტის რექტორატის ინიციატივით, ჭოროხის უნივერსიტეტში წავიკითხე საჯარო ლექცია თურქულ ენაზე „ ლიგანის ხეობის წარსული და თანამედროვეობა“.

2015 წლიდან ვარ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, წიგნის-„აჭარა. ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“ სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების (აჭარა) ოთხტომეულის სარედაქციო საბჭოს წევრი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომების (V, VI, VII, VIII, IX, X, XI) რედაქტორის მოადგილე, გ. კალანდიას წიგნის- „ჩვენებურთა ბელადის“ მთავარი რედაქტორი, თ. შიოშვილის ნაშრომის-ი.ჭავჭავაძე და ქართული ხალხური სიმღერა“ რედაქტორი, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგიის(როლანდ თოფჩიშვილის საერთო რედაქციით) რეცენზენტი .

ჩემი პუბლიკაციები ციტირებულია სხვადასხვა ავტორთა მონოგრაფიებსა და სამეცნიერო ნაშრომებში.

მიღებული მაქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საპატიო სიგელები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ჯილდოები, ხელვაჩაურის განათლების განყოფილების მადლობის ბარათები.

ჩემი ინიციატივით 2007 წელს დაფუძნდა და ყოველწლიურად აღინიშნება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სახალხო დღესასწაული „მაჭახლობა“. დაწესდა „საპატიო მაჭახლელისა“ და მაჭახლის ხეობის „საპატიო სტუმრის“ სტატუსი. მდინარეების ჭოროხისა და მაჭახელას შესართავთან, დაიდგა თოფის „მაჭახელას“ მონუმენტი, ვარ სამეცნიერო-პოპულარული და საზოგადოებრივი ხასიათის ჟურნალ „მაჭახელას“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორის მოადგილე, „მაჭახლის ხეობის“ კავშირის თანათავმჯდომარე და ერთ-ერთი დამფუძნებელი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მოქმედ უხუცესთა ანსამბლ „მაჭახელას“ დამაარსებელი.

2006 წელს საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ასევე, აჭარის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამმართველოს თხოვნით, მოვამზადე კონცეფცია „მაჭახელას ეროვნული პარკის“ შესახებ, რომლის საფუძველზეც შემუშავდა საქართველოს კანონი „მაჭახელას ეროვნული პარკი“, რითაც 2012 წლის დეკემბრიდან, მაჭახლის ხეობის დიდ ნაწილს, დაცული ტერიტორიის-ეროვნული პარკის სტატუსი მიენიჭა.

სისტემატიურად ვმონაწილეობ სატელევიზიო გადაცემებში, საგაზეთო პუბლიკაციების მომზადებაში.

2016 წელს ვიყავი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით შექმნილი მთის კანონთან დაკავშირებული სამთავრობო კომისიის წევრი. მოვამზადე სათანადო რეკომენდაციები და წინადადებები მთის განვითარების ეროვნული საბჭოს წინაშე.

ვფლობ ქართულ, რუსულ და თურქულ ენებს. ასევე, სხვადასხვა სახის კომპიუტერულ პროგრამებს.

മേലടിക്കിട്ട് തുടങ്ങിയപ്പോൾ ഞങ്ങളെപ്പറ്റി

№ 003540 *

1960-61 2000
 1961-62 2000
 1962-63 2000
 1963-64 2000
 1964-65 2000
 1965-66 2000
 1966-67 2000
 1967-68 2000
 1968-69 2000
 1969-70 2000
 1970-71 2000
 1971-72 2000
 1972-73 2000
 1973-74 2000
 1974-75 2000
 1975-76 2000
 1976-77 2000
 1977-78 2000
 1978-79 2000
 1979-80 2000
 1980-81 2000
 1981-82 2000
 1982-83 2000
 1983-84 2000
 1984-85 2000
 1985-86 2000
 1986-87 2000
 1987-88 2000
 1988-89 2000
 1989-90 2000
 1990-91 2000
 1991-92 2000
 1992-93 2000
 1993-94 2000
 1994-95 2000
 1995-96 2000
 1996-97 2000
 1997-98 2000
 1998-99 2000
 1999-00 2000
 2000-01 2000
 2001-02 2000
 2002-03 2000
 2003-04 2000
 2004-05 2000
 2005-06 2000
 2006-07 2000
 2007-08 2000
 2008-09 2000
 2009-10 2000
 2010-11 2000
 2011-12 2000
 2012-13 2000
 2013-14 2000
 2014-15 2000
 2015-16 2000
 2016-17 2000
 2017-18 2000
 2018-19 2000
 2019-20 2000
 2020-21 2000
 2021-22 2000
 2022-23 2000
 2023-24 2000
 2024-25 2000
 2025-26 2000
 2026-27 2000
 2027-28 2000
 2028-29 2000
 2029-30 2000
 2030-31 2000
 2031-32 2000
 2032-33 2000
 2033-34 2000
 2034-35 2000
 2035-36 2000
 2036-37 2000
 2037-38 2000
 2038-39 2000
 2039-40 2000
 2040-41 2000
 2041-42 2000
 2042-43 2000
 2043-44 2000
 2044-45 2000
 2045-46 2000
 2046-47 2000
 2047-48 2000
 2048-49 2000
 2049-50 2000
 2050-51 2000
 2051-52 2000
 2052-53 2000
 2053-54 2000
 2054-55 2000
 2055-56 2000
 2056-57 2000
 2057-58 2000
 2058-59 2000
 2059-60 2000
 2060-61 2000
 2061-62 2000
 2062-63 2000
 2063-64 2000
 2064-65 2000
 2065-66 2000
 2066-67 2000
 2067-68 2000
 2068-69 2000
 2069-70 2000
 2070-71 2000
 2071-72 2000
 2072-73 2000
 2073-74 2000
 2074-75 2000
 2075-76 2000
 2076-77 2000
 2077-78 2000
 2078-79 2000
 2079-80 2000
 2080-81 2000
 2081-82 2000
 2082-83 2000
 2083-84 2000
 2084-85 2000
 2085-86 2000
 2086-87 2000
 2087-88 2000
 2088-89 2000
 2089-90 2000
 2090-91 2000
 2091-92 2000
 2092-93 2000
 2093-94 2000
 2094-95 2000
 2095-96 2000
 2096-97 2000
 2097-98 2000
 2098-99 2000
 2099-00 2000
 2100-01 2000
 2101-02 2000
 2102-03 2000
 2103-04 2000
 2104-05 2000
 2105-06 2000
 2106-07 2000
 2107-08 2000
 2108-09 2000
 2109-10 2000
 2110-11 2000
 2111-12 2000
 2112-13 2000
 2113-14 2000
 2114-15 2000
 2115-16 2000
 2116-17 2000
 2117-18 2000
 2118-19 2000
 2119-20 2000
 2120-21 2000
 2121-22 2000
 2122-23 2000
 2123-24 2000
 2124-25 2000
 2125-26 2000
 2126-27 2000
 2127-28 2000
 2128-29 2000
 2129-30 2000
 2130-31 2000
 2131-32 2000
 2132-33 2000
 2133-34 2000
 2134-35 2000
 2135-36 2000
 2136-37 2000
 2137-38 2000
 2138-39 2000
 2139-40 2000
 2140-41 2000
 2141-42 2000
 2142-43 2000
 2143-44 2000
 2144-45 2000
 2145-46 2000
 2146-47 2000
 2147-48 2000
 2148-49 2000
 2149-50 2000
 2150-51 2000
 2151-52 2000
 2152-53 2000
 2153-54 2000
 2154-55 2000
 2155-56 2000
 2156-57 2000
 2157-58 2000
 2158-59 2000
 2159-60 2000
 2160-61 2000
 2161-62 2000
 2162-63 2000
 2163-64 2000
 2164-65 2000
 2165-66 2000
 2166-67 2000
 2167-68 2000
 2168-69 2000
 2169-70 2000
 2170-71 2000
 2171-72 2000
 2172-73 2000
 2173-74 2000
 2174-75 2000
 2175-76 2000
 2176-77 2000
 2177-78 2000
 2178-79 2000
 2179-80 2000
 2180-81 2000
 2181-82 2000
 2182-83 2000
 2183-84 2000
 2184-85 2000
 2185-86 2000
 2186-87 2000
 2187-88 2000
 2188-89 2000
 2189-90 2000
 2190-91 2000
 2191-92 2000
 2192-93 2000
 2193-94 2000
 2194-95 2000
 2195-96 2000
 2196-97 2000
 2197-98 2000
 2198-99 2000
 2199-00 2000
 2200-01 200

№ 07-02, art. 2 სადამსჯელო სისტემის გადამწყვეტილებით
(თ.პ.ნ. № 34 10.01.2003)

[illegible]

საქართველოს საგარეო ურთიერთობების სამსახური



Diploma of a Candidate of Sciences

№ 003540 ❄

Thilisi April 2003
 I Javakhsiani Institute of History and
 Ethnology Georgian Academy of Sciences
 By decision of the Dissertation Board № 34 of 10.01.2003.
 (Protocol № 34 of 10.01.2003.)

THE DEGREE OF A CANDIDATE OF SCIENCES

History of 07.00.07

WAS CONFERRED ON

Reinhold Maltzman


On the grounds of the decision the diploma has been issued by the Faculty of Academic Experts of Georgia



185

பெயர்: _____

№ 015304



საქართველოს № 451

451

მიეცა ქაღალდი მისი და
 ნიჭიანი
 მაგისტრის 1921 წელს შვეიცარიის
 ქვეყანაში დაიწყო მისი
 და 1926 წელს დაბრუნდა
 იმის და დაიწყო მისი
 იტალიაში დაიწყო მისი
 და 1926 წელს დაბრუნდა
 იმის და დაიწყო მისი
 და 1926 წელს დაბრუნდა
 იმის და დაიწყო მისი



ზახელმწიფი საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე
რეპტორი
მუთაჟანი

გვ. 22. წიგნი... 1997 წ.
მიმ. გოსსკ. 1998.

სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი

1. მაღაყმაძე რ.-(თანაავტორები შ.ფუტყარაძე, ნ.ჩელეზაძე, ე.ფუტყარაძე, თ.ლომთათიძე, შ.ფუტყარაძე) ბათუმის თვითმმართველობის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა 1897 წელს (სტამბოლის ქართველთა სავანეში დაცული მასალების მიხედვით), ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა, VI, ბათუმი, გამომცემლობა „ჯეოპრინტი“, 2015. გვ. 275-280.
2. მაღაყმაძე რ. - ლეგიონერები აჭარიდან, პირველი მსოფლიო ომი და საქართველო, ქუთაისი, გამომცემლობა „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2015 წ. გვ. 144-151.
3. მაღაყმაძე რ. - ვახტანგ მაღაყმაძის (ჰაირიჰაირიოღლუს) ბიოგრაფიიდან - სვლა წმინდა ილია მართალის გზით, ჩვენი სულიერების ბალავარი, VII, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2015, გვ.98-109.
4. მაღაყმაძე რ.-ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიცია ამიერტაოში, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XI, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2015. გვ. 274-292.
5. მაღაყმაძე რ.- ხართან დაკავშირებული ზოგიერთი თქმულება-გადმოცემა, „განათლება, ეკონომიკა და მდგრადი განვითარება“, გორი, 2014, გვ.524-526.
6. მაღაყმაძე რ.-(თანაავტორები შ.ფუტყარაძე, ნ.ჩელეზაძე, ე.ფუტყარაძე, თ.ლომთათიძე, შ.ფუტყარაძე) ბათუმის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე (სტამბოლის ქართველთა სავანეში დაცული მასალების მიხედვით), ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა, V, ბათუმი, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2014. გვ. 261-267.
7. მაღაყმაძე რ. - ზემო მაჭახლის ისტორიიდან, გამონათლევები, გამომცემლობა „ ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2014. გვ. 443-449.
8. მაღაყმაძე რ. -(თანაავტორი შ. ფუტყარაძე) აჭარის დიდებული წარსულის ფურცლები, გამონათლევები, გამომცემლობა „ ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2014. გვ. 411-418.
9. მაღაყმაძე რ.-ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის კომპლექსური ექსპედიცია შავშეთ-იმერხევი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, X, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2014. გვ. 228-234.
10. მაღაყმაძე რ.-(თანაავტორი ნ. ჩელეზაძე) ანტირელიგიური საბჭოთა პოლიტიკა და ბათუმის სობოროს ისტორია (საარქივო მასალების მიხედვით), ბათუმი-წარსული და

თანამედროვეობა, IV, ბათუმი, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2013. გვ. 77-83.

11.მაღაყმაძე რ.- ბათუმის სახე მუჰაჯირთა მეხსიერებაში, ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა, III, ბათუმი, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2013. გვ. 239-247

12.მაღაყმაძე რ. - რელიგია აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, (აჭარა), II, ბათუმი, 2012, გვ. 606-625.

13.მაღაყმაძე რ. - შუამთობის ტრადიციები ლიგანის ხეობაში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ტაო-კლარჯეთის მასალები, თბილისი, 2010. გვ. 346-352.

14.მაღაყმაძე რ. – (თანაავტორი ნ. კახიძე) მაჭახლის ხეობის დედა-ეკლესია, ჩვენი სულიერების ბალავარი, III, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011. გვ.48-56.

15.მაღაყმაძე რ. – (თანაავტორი ნ. კახიძე) მატერიალური კულტურის ძეგლები ზედა მაჭახელში, ჟურნალი „მაჭახელი“, ბათუმი, 2011, გვ. 7-13.

16.მაღაყმაძე რ. – ეთნოგრაფიული ექსპედიციები მაჭახლის ხეობაში, ჟურნალი „მაჭახელი“, ბათუმი, 2011, გვ. 38-42.

17.მაღაყმაძე რ.-ალპური დასახლება აჭარაში (გოდერძის უღელტეხილი-ბეშუმში), (ბუკლეტი, ქართულ, ინგლისურ, რუსულენოვანი ტექსტებით, ავტორთა კოლექტივი), გამომცემლობა შპს “ART+”, ბათუმი, 2010, გვ.1-28.

18.მაღაყმაძე რ. - (თანაავტორები: გ. ჩაგანავა, გ. ვანილიში) ქართული კულტურის ძეგლები თურქეთის შავიზღვისპირეთში, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, IX, გამომცემლობა “ ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2010, გვ. 84-90.

19.მაღაყმაძე რ.- წიგნი ალბომი „აჭარა“ (ავტორთა კოლექტივი, ფოტოილუსტრაციებითა და ქართულ-ინგლისურენოვანი ტექსტებით), გამომცემლობა „პოლიგრაფ-სერვისი“, ბათუმი, 2010, გვ. 1-210.

20.მაღაყმაძე რ. - **ლიგანის ხეობა (მონოგრაფია, ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა)**, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2008,გვ.1-241.

21.მაღაყმაძე რ. - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მოკლე ისტორია, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, VI, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2008. გვ. 6-17.

22.მაღაყმაძე რ. -ნაოსნობა ლიგანის ხეობაში, ჟურნალი „ფიროსმანი“, სტამბოლი, №6, 2008. გვ. 18-21.

23.მაღაყმაძე რ.-ისტორიისა და კულტურის ძეგლები მაჭახლის ხეობაში, ჟურნალი „მაჭახელი“, ბათუმი, 2007, გვ. 27-30.

- 24.მაღაყმაძე რ. - ლიგანის ხეობის ტოპონიმის, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები V, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2007. გვ. 43-51.
- 25.მაღაყმაძე რ.- „მემხლიანობა“-მესაქონლეობასთან დაკავშირებული დღესასწაული ლიგანის ხეობაში (რუსულ ენაზე).-კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა. გამომცემლობა „უნივერსალი“.თბილისი,2007.გვ.148-150.
- 26.მაღაყმაძე რ. - მევენახეობა და მეხილეობა ლიგანის ხეობაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები I, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2007. გვ. 43-51.
- 27.მაღაყმაძე რ. - ნავმშენებლობალიგანის ხეობაში, საისტორიო მაცნე XIII, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2004, გვ. 147-151.
- 28.მაღაყმაძე რ. - ქართული ხალხური თეატრალური სანახაობანი ლიგანის ხეობაში, საისტორიო მაცნე, გამომცემლობა: „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2002, N11, გვ. 170-176.
- 29.მაღაყმაძე რ. - მატერიალური კულტურის ძეგლები ლიგანის ხეობაში - საისტორიო მაცნე, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი,“ ბათუმი, 2002, N11.გვ.185-192
- 30.მაღაყმაძე რ. - ხალხური დღესასწაულები ლიგანის ხეობაში, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, გამომცემლობა “ ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2002. გვ. 94-102.
- 31.მაღაყმაძე რ. - მატერიალური კულტურის ძეგლები მაჭახლის ხეობიდან, ჟურ. „მაჭახელი“, სტამბული, 2003. N11, გვ. 17-21 (თურქულ ენაზე).
- 32.მაღაყმაძე რ. - ლიგანის ხეობის ისტორიიდან, ჟურ. „ჩვენებურები“, სტამბული, 2001 N41, გვ. 12-14 (თურქულ ენაზე).
- 33.მაღაყმაძე რ. - ნავმშენებლობა და ნაოსნობა ლიგანის ხეობაში, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, თბილისი, 2001 N10, გვ. 102-11.
- 34.მაღაყმაძე რ.- გვარსახელების ისტორიიდან ლიგანის ხეობაში, ჟურ. „ჩვენებურები“, სტამბული, 2000, №38, გვ. 35-37 (თურქულ ენაზე).
- 35.მაღაყმაძე რ.- ლიგანის ხეობა ძველ ისტორიულ წყაროებში, „ლიტერატურული აქარა“, ბათუმი,2000, №7, გვ.108-112.
- 36.მაღაყმაძე რ.- ლიგანის ხეობის ისტორიიდან, „ლიტერატურული აქარა“, ბათუმი,2000, №6, გვ.110-114.
- 37.მაღაყმაძე რ.- ძველი გვარსახელებილიგანის ხეობიდან, „ლიტერატურული აქარა“, ბათუმი, 1999, №2, გვ.105-108.

**ისტორიის დოქტორის, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი
მეცნიერი თანამშრომლის როინ მალაყმადის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტიპენდიანტად
წარდგენასთან დაკავშირებით**

როინ მალაყმადეს 1997 წლიდან ვიცნობ, როდესაც იგი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში ჩაირიცხა (მიმართულება: ეთნოგრაფია, ეთნოლოგია, ანთროპოლოგია) და მის სამეცნიერო ხელმძღვანელად დავინიშნე. მან წარმატებით დაასრულა ასპირანტურის კურსი და 2002 წლიდან მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, სადაც დღემდე მუშაობს. 2003 წლიდან უფროსი მეცნიერი, 2013 წლიდან კი-მთავარი მეცნიერი თანამშრომელია, ხოლო 2006 წიდან დღემდე ამ ინსტიტუტის დირექტორია.

2003 წელს როინ მალაყმადემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში თემაზე „ლიგანის ხეობა (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა)“ და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. ეს სადისერტაციო ნაშრომი ჩემი რედაქტორობით 2008 წელს თბილისში (გამომცემლობა „არტანუჯი“) ცალკე წიგნად გამოიცა. ნაშრომი პირველი ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევაა ისტორიული ბედუკულმართობის გამო ორად გაყოფილი ჭოროხის მხარის უძველესი ლიგანის ხეობაზე, რომლის ერთი ნაწილი 1921 წლიდან მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში (ართვინის ვილაიეთი), ხოლო მეორე თანამედროვე საქართველოს ფარგლებში და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით შედის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში.

სწორედ დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში გამოვლინდა როინ მალაყმადის, როგორც ახალგაზრდა პერსპექტიული მეცნიერი მუშაკის უნარი დ ჩვევები. მან მეტად რთულ პირობებში შეძლო შეეკრიბა სათანადო ეთნოლოგიური მასალები ლიგანის ხეობის საზღვარგარეთულ ნაწილში და მთლიანობაში შეესწავლა ორად გაყოფილი ხეობის ისტორიისა და ეთნოლოგიის საკითხები. მისი მონოგრაფია „ლიგანის ხეობა“ ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა იქნეს შესწავლილი თურქეთის საზღვრებში მოქცეული ძირძველი ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულები აქ მოსახლე ასევე ძირძველი ქართველი მოსახლეობით. ცალკე დადებით შეფასებას იმსახურებს ავტორის მიერ გადაღებული ფოტო და ვიდეო მასალები, რომლებშიც ასახულია ლიგანის ხეობის ყოფითი კულტურა, მატერიალური და სულიერი კულტურა.

პირველ რიგში ქართველ ეთნოლოგთა და მნახველთა ფართო წრის მაღალი შეფასება დაიმსახურა მისმა დოკუმენტურმა ფილმმა „ხალხური დღესასწაულები ლიგანის ხეობაში“, რომელსაც აჭარის უზენაესი საბჭოს მიერ დაწესებული თედო სახოკიას სახელობითი პრემია მიენიჭა.

აღსანიშნავია როინ მალაყმადის სამეცნიერო საქმიანობის სხვა მხარეებიც. მისი კვლევის სფერო მოიცავს როგორც აჭარის, ისე თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში მოქცეული ძირძველი და მუჰაჯირი ქართველი მოსახლეობის ყოფისა და კულტურის სხვადასხვა ასპექტებს. ამ

საკითხებზე ჯერჯერობით გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი სტატიების სახით, რომლებიც დაბეჭდილია როგორც ქართულ (ბათუმი, თბილისი, ქუთაისი) ისე საზღვარგარეთის (თურქეთის) გამოცემებში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის სამეცნიერო სტატიები, რომლებიც ეძღვნება მაჭახლისა და ლიგანის ხეობებს (ზემო მაჭახლის ისტორიიდან“, 2014; „მაჭახლის ხეობის დედაეკლესია“, 2011; „ნავმშენებლობა და ნაოსნობა ლიგანის ხეობაში“, 2001; „ხალხური დღესასწაულები ლიგანის ხეობაში“, 2002; „ქართული ხალხური თეატრალური სანახაობანი ლიგანის ხეობაში“, 2002; „შუამთობის ტრადიციები ლიგანის ხეობაში“, 2010; „ლიგანის ხეობის ტოპონიმია“, 2007). მისი სხვა სამეცნიერო სტატიებიდან უნდა დასახელდეს შემდეგი: „ლეგიონერები აჭარიდან“, 2015; „ქართული კულტურის ძეგლები თურქეთის შავიზღვისპირეთში“, 2010; „რელიგია აჭარაში“, 2012 და ა.შ.

როინ მალაყმადე აქტიური მონაწილეა იმ რესპუბლიკური თუ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებისა (კონფერენცია, სესია), რომლებიც ტარდებოდა და ტარდება ბათუმში, თბილისში, ქუთაისში, გორში, სადაც მის მიერ სხვადასხვა საკითხებზე 2007-2015 წლებში წაკითხული იქნა 12 მოხსენება. ამათგან განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა იმ მოხსენებებმა, რომლებიც შეეხებოდა სტამბოლის ქართულ სავანეში დაცულ მასალებს.

ცალკე შეფასებას იმსახურებს როინ მალაყმადის სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა. იგი ხელმძღვანელობდა პროექტს—„მეფუტკრეობის განვითარება მაჭახლის ხეობაში“ (2003-2005), რომელიც განხორციელდა მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით. კონსულტანტად მიწვეული იყო რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფარგლებში განხორციელებულ პროექტში „საქართველოს მუსლიმური თემი თანამედროვეობის კონტექსტში“ (2009-2010). მენეჯერია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტისა („სტამბოლის ქართული სავანის ეპისტოლარული და მემუარული მემკვიდრეობა“), რომლიც სრულდება 2013-2016 წლების გეგმით. ამ პროექტის ფარგლებში მან რამდენიმე თემა შეასრულა.

როინ მალაყმადე აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემების მომზადებაში, როგორც რედაქტორი, რედაქტორის მოადგილე, რეცენზენტი, სარედაქციო საბჭო. იგი, როგორც ინსტიტუტის დირექტორი, ყურადღებით ადევნებს თვალს და უშუალოდაა ჩართული იმ გამოცემების მომზადებაში, რომლებიც ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში სრულდება უკანასკნელი წლების მანძილზე (ინსტიტუტის შრომები, დარგობრივი კრებულები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია როინ მალაყმადის მონაწილეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნარკვევების ოთხტომეულის მომზადებასა და გამოცემაში, რომელიც აჭარას ეძღვნება (2007-2014 წლები). მისი თანაავტორობით გამოიცა 2009 წელს ათასი ტირაჟით ფერადი ალბომი „აჭარა“. ალბომის იშვიათობაზე მიუთითებს მისი მეორე გამოცემა, რომელიც 2010 წელს განხორციელდა. როინ მალაყმადის ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოიცა 2010 წელს ფერადი ბუკლეტი „ალბური დასახლება აჭარაში“. ბუკლეტი მომზადდა ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილებაში.

როინ მალაყმადე აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საინსტიტუტო სამეცნიერო ექსპედიციების დაგეგმვასა და განხორციელებაში. 2010-2015 წლებში მისი ხელმძღვანელობით არა ერთი ასეთი ექსპედიცია გაიმართა აჭარასა თუ თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში მოქცეულ ქართულ რაიონებში (ზედა მაჭახელი, შავშეთ-იმერხევი, მურღულის ხეობა, ტაო). ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფთან 2013-2016 წლებში მონაწილეობდა სტამბოლის სავანის

არქივსა და წიგნსაცავში ბათუმისა და აჭარის შესახებ არსებული მასალების მოძიებასა და დამუშავებაში. მისი ხელმძღვანელობით დაიწყო ამ მასალების დიგიტალიზაცია და კატალოგიზაცია.

როინ მალაყმადის სამეცნიერო საქმიანობა კარგადაა ცნობილი თურქეთის ქართული სათვისტომოებისათვის. 1997-1997 წლებში იყო თურქეთში გამოცემული ჟურნალ „ჩვენებურების“ წარმომადგენელი საქართველოში. 2013 წელს მონაწილეობდა სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრში თემაზე: „ენისა და კულტურის საკითხები თურქულ-ქართულ ურთიერთობაში“ ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაში, სადაც წაიკითხა მოხსენება თურქეთის საზღვრისპირა რეგიონების (ზემო მაჭახელი, ზემო მარადიდი, შავშეთი, იმერხევი) შესახებ. მოხსენებამ მაღალი შეფასება დაიმსახურა. 2015 წელს კი ართვინში ჭოროხის უნივერსიტეტის რექტორატის ინიციატივით მიწვეული იყო ამავე უნივერსიტეტში და წაიკითხა საჯარო ლექცია თურქულ ენაზე თემაზე: „ლიგანის ხეობის წარსული და თანამედროვეობა“.

როინ მალაყმადე სამეცნიერო მუშაობის პარალელურად აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა. მისი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მუშაობის პერიოდში 2007 წელს მისივე ინიციატივით დაარსდა სახალხო დღესასწაული „მაჭახლობა“, რომელიც ყოველწლიურად ტარდება მონაცვლეობით მაჭახლის ხეობის სოფლებში. ამ დღესასწაულს ეძღვნება მისივე ინიციატივით დაარსებული სამეცნიერო-პოპულარული საზოგადოებრივი ხასიათის ჟურნალი „მაჭახელი“. იგი ამ ჟურნალის რედაქტორის მოადგილეა. ჟურნალში სისტემატურად იბეჭდება მისი სამეცნიერო სტატიებიც. ჟურნალმა დიდი პოპულარობა მოიპოვა. როინ მალაყმადის დამსახურებაა უზუცესთა ანსამბლ „მაჭახელას“ დაარსება, რომელიც ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენში და საზღვარგარეთ. 2006 წელს საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს და აჭარის მაშინდელი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს თხოვნით მოამზადა კონფერენცია „მაჭახელას ეროვნული პარკის“ შესახებ და დაარსდა ამავე სახელწოდების პარკი. 2016 წელს, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით შექმნილი მთის კანონთან დაკავშირებული სამთავრობო კომისიის წევრმა მოამზადა მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები და წინადადებები მთის განვითარების ეროვნულ საბჭოში წარსადგენად.

სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად როინ მალაყმადე ნაყოფიერ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას ეწევა საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტში. არის უნივერსიტეტის პროფესორი და ლექციებს კითხულობს საქართველოს ისტორიაში, ხელმძღვანელობს სამაგისტრო პროგრამას.

სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში მიღწეული წარმატებებისათვის როინ მალაყმადე დაჯილდოებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, აჭარის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სიგელებით. მაღლობის ბარათებით.

ამრიგად, ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი 2016 წლიდან, მრავალმხრივ სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს აჭარის და მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს იმ მეცნიერული პრობლემების შესწავლაში, რაც ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევა-ძიების პროგრამით ხორციელდება. როინ მალაყმადე სამეცნიერო კვლევა-ძიებით დაინტერესებული პერსპექტიული ახალგაზრდა

მეცნიერია. დღემდე მიღწეული მისი წარმატებები საწინდარია იმისა, რომ იგი მომავალშიც ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარებაში, რომელიც ქართული ეროვნული მეცნიერების ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა.

მისასალმებელია, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია პრიორიტეტად აცხადებს ახალგაზრდა მეცნიერთა მუშაობაში ხელშეწყობას და ამ მიზნით აცხადებს კონკურსს ასეთ მეცნიერთა სტიპენდიის მოსაპოვებლად.

ამიტომ მე, ნოდარ კახიძე, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, როინ მალაყმაძის ყოფილი სამეცნიერო ხელმძღვანელი, მხარს ვუჭერ მის კანდიდატურას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტიპენდიის მინიჭებაზე.


ნოდარ კახიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ეთნოლოგიის
სპეციალიზიტ, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების
უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

15.XI. 2016.

წარდგინება მოამზადა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ეთნოლოგიის
მიმართულებით, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური
კვლევის განყოფილების უფროსმა, მთავარმა მეცნიერ თანამშრომელმა ნოდარ კახიძემ.

კანცელარიის უფროსი



მერაბ ბერიძე

15. 11.2016წ.

ქ. ბათუმი

[illegible]



საჯარო საკანონმდებლო მსოფლიო პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY



MES 7 16 01381170

17/11/2016

ც ნ ო ბ ა

ედლევა როინ მაღაყმაძეს მასზედ, რომ იგი არჩეულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო / უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებები / სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
მერაბი ხალვაში

